სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.250.020.35.147.000.617

# ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №15**

**2010 წლის 24 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

## ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

*ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 10.09.2014წ.*

1. დამტკიცდეს ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 ივნისის №58 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**ე. ბერუაშვილი**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 10.10.2014წ.

*დანართი №1*

## ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება

### მუხლი 1. ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

1. ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

**მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა**

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და მოხელეებისაგან.

2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი მოხელე.

3. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება გამგეობის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები**

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვას;

გ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

დ) მუნიციპალური სპორტული დაწესებულებების მართვას;

ე) წინადადებების შემუშავებას კულტურის, განათლებისა და სპორტის დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ვ) განათლების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

ზ) სააღმზრდელო დაწესებულებების მართვას;

თ) კულტურის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ი) კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

კ) მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

ლ) სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

მ) სპორტის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

ნ) მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსების მართვას;

ო) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.